PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ მიერ „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრი: ჯიმშერ მაისურაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის MES 9 21 0000348141 ბრძანების შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე - ლევან მადათოვი, წევრი - ჯიმშერ მაისურაძე) დაევალა სსიპ - კოლეჯ ,,ოპიზარის" მიერ „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესწავლილ იქნა დაწესებულების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, შემუშავდა დისტანციური გასაუბრების განრიგი. ონლაინ ჩართვა დაწესებულებასთან შედგა 2021 წლის 24 აპრილს. გასაუბრება შედგა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მოხდა მატერიალური რესურსების, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება და შედგა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ონლაინ შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

IV.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

V.რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის "ოპიზარი" დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №14 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ კოლეჯი „ოპიზარი" ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. №111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	36 სტუდენტი 1.სსიპ კოლეჯი „ოპიზარი" ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. №111 2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია „სამცხე ჯავახეთის რეგიონალური ფილიალი ქ. ახალციხე კოსტავას ქ. №1
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

VIII. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. შრომის ბაზრისა და კოლეჯის სტრატეგიული გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, მოძიებული აქვს რეგიონში ფუნქციონირებადი დაწესებულებების ნუსხა, რომლის კვლევის საფუძველზეც შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა. განხილულია კოლეჯის დარგობრივი კათედრის სხდომაზე. პროგრამის დამატების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება გამომდინარეობს განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიდან.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდრტთან. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „სსიპ - კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარიის“ დირექტორის 2021 წლის 31 მაისის №42, ცვლილება - 2019 წლის 31 დეკემბრის №136, 2020 წლის 02 ივლისის №36, 2020 წლის 25 დეკემბრის №93 ბრძანების საფუძველზე), რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას. (ცვლილება *(28.05.2020 N59/ნ).* საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან. **ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. პროგრამაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეესაბამება კოლეჯის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და კოლეჯის რესურსებს(A,B, გარემო). **ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. „წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია“ პროფესიული სპეციალიზაციისთვის შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 57,1% მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში, საწარმოს პროგრამის განხორციელებისათვის აქვს შესაბამისი გარემო, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, ხოლო დარჩენილი სწავლის შედეგების კრედიტების 42,9% მიიღწევა კოლეჯში, პროგრამის განხორციელებისათვის აქვს შესაბამისი გარემო, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით როგორც მატერიალური, ასევე საგანმანათლებლო.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია“ არ მოიცავს ჩანაწერს არჩევითი მოდულის შესახებ.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ 2021 წლის 12 მარტის №14 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,**წყალარინებისსისტემების ექსპლუატაცია**“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანიექსპერტთა შეფასებით **პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. საგანმანათლებლო პროგრამა ,,**წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია**“ შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს - „წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები“, სარეგისტრაციო ნომერი 07309-პ. პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია - პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ “ოპიზარის“ დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №14 ბრძანებით);
2. „სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2021 წლის 31 მაისის №42, ცვლილება - 2019 წლის 31 დეკემბრის №136, 2020 წლის 02 ივლისის №36, 2020 წლის 25 დეკემბრის №93 ბრძანების საფუძველზე);
3. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
4. ინტერვიურებით კოლეჯის წარმომადგენლებთან;
5. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთა წშესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ კოლეჯ „ოპიზარის“ 2021 წლის 31 მაისის №42, ცვლილება - 2019 წლის 31 დეკემბრის №136, 2020 წლის 02 ივლისის №36, 2020 წლის 25 დეკემბრის N93 ბრძანების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია - 36 სტუდენტი.

დისტანციური წარმოებისას კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა მატერიალური რესურსების შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. კოლეჯში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B გარემო. ვიზუალურად დათვალიერებისას შემოწმდა A და B გარემოში არსებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. A და B გარემოში არსებული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. კოლეჯმა წარმოადგინა მატერიალური რესურსის შესყიდვების და მიღება-ჩაბარების აქტები, რის მიხედვითაც დადასტურდა მათი მფლობელობა. ვინაიდან „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დუალურია, C გარემო განთავსებულია საწარმოში (ახალციხის წყალმომარაგების და წყალარინების კომპანიაში). აღნიშნული პროგრამისთვის საწარმოში გამოყოფილია 70 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, უზრუნველყოფილია საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია“ დანართის სახით წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტერვიუირებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში, საჭიროებიდან გამომდინარე. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.
ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი და შემოწმებული პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პროფესიული განათლების მასწავლებლებს უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა ტრენინგები. ინტერვიუირებისას პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და შესაბამისად პროფესიული სტუდენტის შეფასების კომპეტენცია.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ ხელმძღვანელის პირადი საქმე. და მოხდა მასთან გასუბრება. დოკუმენტაციის მიხედვით, მას დაუდასტურდა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ აქტიურად ჩაატარებს ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ყველა საჭირო თემატიკასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია“ დუალური სწავლების მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. ვიზუალური შემოწმებისას დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი არის კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. წარმოდგენილი სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში არსებულ სასწავლო რესურსთან. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით შესაძლებელია პროფესიული სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება. კოლეჯს ჰყავს ბიბლიოთეკარი.

ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.6. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯს გააჩნიას სსმ პირებისათვის ადამიანური რესურსი რომელებიც მასწავლებლეთან ერთად შეიმუშავეს პროგრამის შესაბამის ინდივიდუალური გეგმას, რომელიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ასევე დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

7. კოლეჯის წესდებით განსაზღვრულია საფინანსო სახსრების წყაროები :ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი; გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი; დ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები; ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. კოლეჯის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება ბიუჯეტში. კოლეჯის დირექტორი წლის ბოლოს ამტკიცებს მომდევნო წლის ბიუჯეტს (სუბსიდია) და სამინისტროს წარუდგენს შესათანხმებლად. აღნიშნული დაფინანსებიდან ხდება კოლეჯის ყველა ხარჯის გადახდა (ადმინისტრაციული კომუნალური, ოფისის ხარჯი, შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის მოვლა, შენახვა-შეძენის ხარჯის, მოსაკრებლის და სხვა ხარჯების). კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (საათების რაოდენობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში), პროგრამის სასწავლო მასალების შეძენის ხარჯი, არსებობის შემთხვევაში-პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯები (სასწავლო ექსკურსიები, პრაქტიკის ობიექტზე გადაადგილება და სხვა). პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელური სტუდენტთა რაოდეონობა (შემოსავლებისა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, ასევე გასული წლების სტატუსშეჩერებული და შეწყვეტილი კონტიგენტის მცირე რაოდენობის გათვალისწინებით), რასაც აღემატება მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ “ოპიზარის“ დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №14 ბრძანებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. „სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2021 წლის 31 მაისის №42, ცვლილება - 2019 წლის 31 დეკემბრის №136, 2020 წლის 02 ივლისის №36, 2020 წლის 25 დეკემბრის №93 ბრძანების საფუძველზე);
3. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
4. ინტერვიუირებით კოლეჯის წარმომადგენლებთან;
5. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით კოლეჯი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ინტერესებს.

სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან.

პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. კოლეჯს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ გაწერილი აქვს პროგრამაში და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებასა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების საჭიროებების გამოვლინებას. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, აქედან გამომდინარე ადგენს სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა კითხვარებს, მათი დასაქმების სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, დასწრების ოქმებს). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოდულური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი ხარისხის მართვის სპეციალისტთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგან-მახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობი საღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია მოდულების წინაპირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. გასაუბრების დროს კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლა წარიმართება სასწავლო გეგმის მიხედვით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. „სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2021 წლის 31 მაისის №42, ცვლილება - 2019 წლის 31 დეკემბრის №136, 2020 წლის 02 ივლისის №36, 2020 წლის 25 დეკემბრის №93 ბრძანების საფუძველზე) მე-8 თავი მოიცავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ. **პროფესიული სტუდენტის შეფასება მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2021 წლის 31 მაისის №42, ცვლილება - 2019 წლის 31 დეკემბრის №136, 2020 წლის 02 ივლისის №36, 2020 წლის 25 დეკემბრის №93 ბრძანების საფუძველზე) მე-7 თავი მოიცავს ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ. პროგრამის დაწყება/დამთავრება რეგულირდება აკადემიური კალენდრით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ. კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს, სასწავლო გეგმის და მოდულების მიხედვით ადგენენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და უთანხმებენ სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს.

სსსმ პირებისთვის დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (მუხლი 35)).

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, პროექტორებით და ყველა საჭირო რესურსით, ეს ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებით სწავლებას. მოდულები ითავლისწინებს სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებას. ინტერვიუირებისას პროგრამის განმახორციელებელმა პირმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე. აღნიშნული ტრენინგები ტარდება როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ.

ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულებას გააჩნია გამოცდილება შშმ და სსსმ პირებისათვის უზრუნველყოს დამატებითი ხელშეწყობის პირობები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. ინტერვიუირებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოდულური მიდგომით სწავლის განხორციელებისას სასწავლო პროცესის ორგანიზება მოხდება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და მათთვის ყველა ხელშეწყობის ღონისძიება იქნება ხელმისაწვდომი.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ 25-ე მუხლში გაწერილია, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებას მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდივიდუალურ გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს მოდულების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ "ოპიზარის" დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №14 ბრძანებით);
2. „სსიპ კოლეჯ „ოპიზარის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის რეგულირების წესით" (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის" დირექტორის 2021 წლის 31 მაისის №42, ცვლილება - 2019 წლის 31 დეკემბრის №136, 2020 წლის 02 ივლისის №36, 2020 წლის 25 დეკემბრის №93 ბრძანების საფუძველზე);
3. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
4. ინტერვიურებით კოლეჯის წარმომადგენლებთან;
5. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მიმართ მოთხოვნებს:
ა. ვალიდურობა; ბ. სანდოობა; გ. გამჭვირვალობა; დ. სამართლიანობა; ე. ობიეტურობა, რაც გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების პროცესის განხორციელების და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების მიმართ, ასევე კოლეჯს აქვს "პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი", სადაც გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის და შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ვერიფიკაციის მექანიზმები.
2 კოლეჯს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები გაწერილი აქვს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში", რაც გულისხმობს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმს, რომელიც გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციისას; კოლეჯში ვერიფიკაციას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად, რომლებიც ადგენენ შეფასების ინსტრუმენტის სწავლის შედეგების შეფასების სტანდარტებთან შესაბამისობას.
3. შეფასების მტკიცებულებები ხარისხის შეფასების მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა. ამიტომაც მათი მოპოვების, აღრიცხვის, შენახვის და განკარგვის წესი შემუშავებულია კოლეჯის მიერ. კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს ინახავს 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისებს უვადოდ.
4. სასწავლო პროცესში გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად ახდენს სტუდენტთა შედეგების გაცნობის საფუძველზე მათი საჭიროებების გამოვლენას, სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ხოლო დუალური მიდგომით განხორციელებისას სასწავლო პროცესში გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებელი შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან ერთად ახდენს სტუდენტთა შედეგების გაცნობის საფუძველზე მათი საჭიროებების გამოვლენას, სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი.
კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს კომპანიაში ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, აწარმოებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს.

დასტურდება:

- 2020 წლის 22.07 № 44 ბრძანებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების სარეკომენდაციო ფორმა და უწყისების ფორმებით. (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 10 ივნისის №54 ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ ‘ სასწავლო პროცესის რეგულირების წესით (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №42 31/05/2019 წელი) “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი” მუხლი 33.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფი შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

1. დისტანციური გასაუბრების განრიგი

25.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: